



საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასჯალო ცენტრი

ბრძანება

№ 87

15.09 2016წ.

„სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების განაწილების წესის და სასწავლო ცენტრის თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ფორმის დამტკიცების შესახებ“
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 25 თებერვლის №59 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის „ლ“ და „ო“ პუნქტების საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების განაწილების წესის და სასწავლო ცენტრის თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ფორმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2014 წლის 8 მაისის №65 ბრძანებით დამტკიცებულ №1 დანართში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილება:
 - ა) დანართის პირველი ნაწილის მე-5 თავი ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების №1 დანართის შესაბამისად;
 - ბ) დანართის პირველ ნაწილს დაემატოს წინამდებარე ბრძანების №2 დანართის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებული მე-9 თავი.
2. დაევალოს საქმისწარმოების სპეციალისტს - მაია ჯანგირაშვილს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ფულის №3) ან/და გარდაბნის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №14).

დირექტორი
ავთანდილ მიქანაძე

